KA030193286435418

№ 01-5622 **13 / მარტი / 2018 წ.**

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ ხათუნა ჩაჩავას

ქალბატონო ხთუნა,

სოციალური დაცვის დეპარტამენტმა განიხილა თქვენი წერილი (12.03.18. N01-5462) საქართველოსა და აზერბაიჯანში ავსტრიის პოლიციის ატაშეს, ბატონი კარლჰაინც გაეტანოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შესახებ უსინათლო და მცირედმხედველი შშმ პირებისთვის შესაბამისი სერვისების არსებობასთან დაკავშირებით.

დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლბში გაცნობებთ, რომ სახელმწიფო უსინათლო და მცირედმხედველ შშმ პირებს უზრუნველყოფს სოციალური პაკეტით განსაზღვრული თანხით ყოველთვიურად.

ამასთან, ასეთ პირებს, მათ შორის მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ პირებს დანარჩენი სხვა შეზღუდვის მქონე მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებისგან განსხვავებით, საჯარო საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, სოციალური პაკეტის მიღების უფლება არ უწყდებათ.

,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება უსინათლოთა (თეთრი) ხელჯოხებით უზრუნველყოფა, ხოლო ანოფთალმისა და მიკროფთალმის მქონე პირებისთვის - თვალის პროთეზირება.

აქვე, დამატებით გაცნობებთ, რომ სოციალური დეპარტამენტი კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობს ყველა იმ დაინტერესებულ ორგანიზაციასთან, რომლებიც მუშაობენ ან აწუხებთ შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხები. მათ შორის არიან შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები: ,,საქართველოს უსინათლოთა კავშირი“, ,,ჰერა - აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირი“, ,,უსინათლოთა და მცირემხედველთა რეაბილიტაციის ცენტრი- მომავალი იწყება დღეს“ და სხვა.

პატივისცემით,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი, ნინო ოდიშარია
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი